

თვითონ იცავდა“ (დ. კლდ.); „ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დისციპლინა“ („საბჭ. კავშ. ისტ.“)...

ქართული სიტყვა **დუმილი სიჩუმის** სინონიმი, მაგრამ, როგორც ენაში ხშირად ხდება, ეს ორი სინონიმური სახელი სიტყვათხმარებისას განსხვავებულ თვისებებს, განსხვავებულ შესაძლებლობებს ავლენს. თუ **სიჩუმე** ადვილად უკავშირდება ზმნას **იცავს (დაიცავს)** და ქმნის მეტად ბუნებრივსა და გავრცელებულ ფიგურალურ გამოთქმას — **სიჩუმეს იცავს** და გამოთქმა-მოწოდებას — **დაიცავით სიჩუმე**, ამასვე ვერ ვიტყვით **დუმილის** შესახებ. ჩანს, ამ სახელთან ვერ დამკვიდრდა ზმნა **იცავს** და ამის მიზეზი ის განსხვავებული შინაარსობრივი ელფერიც უნდა ყოფილიყო, რომელიც ამ ორ სახელს შორის არსებობს.

ამიტომ სტილისტიკურად გაუმართავია ისეთი შესიტყვებები, რომელშიც **იცავს** ზმნა დაკავშირებულია სახელთან **დუმილი**. ასეთებია: „მამაი ბასილი **დუმილს იცავდა** [უნდა იყოს: მამაი ბასილი ჩუმიად იყო, არაფერს ამბობდა, ხმას არ იღებდა, დუმიდა...]“ (კ. გამს.); „დღემდე **დუმილს იცავენ** რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების მუშაკები [უნდა იყოს: დღემდე რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების მუშაკები დუმიან, არაფერს ამბობენ, ხმას არ იღებენ...]“ („გამარჯვ. გზა“).

2

ერგო ნიშნავს: წილად ხვდა, შეხვდა. მაგ.: „მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს **არა ერგო რაი**“ (ანდ.); „შარშან კოლმეურნეებს გამომუშავებულ შრომადღებებზე 2-3 ტონა მარტო **მარცვლეული ერგოთ**“ („კომ.“).

ზმნა **ერგო** ისევე, როგორც სახელურ-ზმნური ფორმებით **წილად ხვდა** და **წილად ერგო** (იხ.), ზოგჯერ თავის ადგილას არ არის გამოყენებული და სიტყვათხმარების მხრივ დარღვევები გვაქვს. მაგ.: „...რაჟდენ ძოწენიძეს 3 წლით **თავისუფლების აღკვეთა ერგო**“ („თბილ.“). სასჯელის ზომა დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად სასამართლო კოდექსით მკაცრად ნორმირებული და განსაზღვრულია. ახლენად, იგი არ შეიძლება რომელიმე ბრალდებულს ერგოს. მოყვანილი წინადადება ასე უნდა გასწორდეს: „რაჟდენ ძოწენიძეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს“.

ამ თვალსაზრისით გასამართავია აგრეთვე შემდეგი წინადადებები: „**ოქრო ერგო** აგრეთვე მოცეკვავეთა დუეტს — ი. მოისევეასა და ა. მინენკოვს [უნდა იყოს: **ოქროს** მედალი მოიბოგეს, დაიმსახურეს

მოცეკვავენმა]“ („თბილ.“); „მან გაუსწრო თავის ძირითად პეტოქეებს, ... რომლებსაც შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს შედლები ერგოთ [უნდა იყოს: რომლებმაც... შედლები მოიპოვეს, დაიმსახურეს]“ („ლელო“). „მეცნიერებათა აკადემიის მაღალი ჯილდო ერგო... ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტის ინგა გურგენიძის ნაშრომს [უნდა იყოს: ჯილდო დაიმსახურა... ნაშრომმა]“ („თბილ.“); „საერთო გამარჯვება კი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს ერგოთ [უნდა იყოს: გამარჯვება ...სტუდენტებმა მოიპოვეს]“ („თბილ.“)...

ეუფლება ზმნა რამდენიმე, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული მნიშვნელობით იხმარება თანამედროვე ქართულში. მათგან ერთ-ერთია: ხელთ იგდებს, ებატონება. მაგ.: **ადგილ-მამულებს ეუფლება**; „ცენტრში ბურთს კვლავ ეუფლებიან ბრაზილიელები“ (ვ. ურჯ.)...

მაგრამ ამ მნიშვნელობით დასახელებული ზმნა დღეს შედარებით იშვიათად (ძირითადად — სპორტულ ინფორმაციებში) გვხვდება. გაცილებით ფართოდ გამოიყენება იგი გადატანითი მნიშვნელობით — იძენს, ითვისებს (ამა თუ იმ სახის ცოდნას), **სწავლობს ზმნების** ნაკულად: „ჩვენ ყველანი..., უპირველეს ყოვლისა, **გეუფლებით** მეურნეობის გაძლოლის ჩვევებსა და მეთოდებს“ („ლიტ. საქ.“); „ახლა აქ **ეუფლებიან** საძინებელი ოთახის გარნიტურის **გამოშვებას**“ („ახ. კომ.“); „იგი საფუძვლიანად გაეცნო სამეცნიერო ლიტერატურას და **დაეუფლა** სველე გამოკვლევების მეთოდებს, კოლექციებისა და პერბარიუმების შედგენას“ („ბიოლ.“); „განა სასიხარულო არ არის, რომ ბავშვები დღითი დღე იწვრთნებიან, **ეუფლებიან ბურთის თამაშს?**“ (ვ. ურჯ.)...

მხატვრული ლიტერატურის ენაში **ეუფლება** ზმნის სემანტიკა ზოგჯერ სრულიად ბუნებრივად ითავსებს **იპყრობს, მოიცავს ზმნების** იმ მნიშვნელობას, რომელიც ადამიანის მგრძნობელობას, განცდებს, განწყობილებას უკავშირდება. ამდენად ბუნებრივი შესიტყვებებია: **სიამაყის, კმაყოფილების, პატივისცემის გრძნობა დაეუფლა, სასიამოვნო განცდა დაეუფლა, უსიამოვნო განწყობილება დაეუფლა** და მისთ.: „როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, **სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობა გეუფლებათ**“ (ლიტ. საქ.); „მე სულ უფრო და უფრო ღრმა **პატივისცემის გრძნობა მეუფლება** უბრალო გმირების მიმართ, რომლებმაც შექმნეს ყველაფერი მშვენიერი და დიდი ამ ქვეყანაზე“ („ახ. კომ.“); „ერთმანეთის საწინააღმდეგო **განცდები ეუფლებოდა**“ („ცისკ.“); „**უკმარისობის განცდა ეუფლებოდა**“ (თ. მაღლ.); „იმედინი **განწყობილება მეუფლებოდა**“ („ლიტ. საქ.“)...

ამ რიგის შესიტყვებები ზოგჯერ წვერნაკლია — გამოტოვებულია სიტყვები: **გრძნობა, განცდა, განწყობილება, მაგრამ, რადგან** მთლიანად შესიტყვებას მაინც არა აქვს გაწყვეტილი აზრობრივი კავშირი ნაგულისხმევ შინაარსთან, ასეთი სიტყვათშეხამებებიც ბუნებრივად მიიჩნევა. მაგ.: „უყურებ მათ [წნორის კომპლექსის მშენებლებს] და რაღაცნაირი **სიამაყე გეუფლება** („ლიტ. საქ.“); „მე მჯერა, რომ ჩემი შვილიშვილები წაიკითხავენ რომენ როლანის „უან-კრისტოფს“ და **პატივისცემა და აღტაცება დაეუფლებათ** ავტორის ურყევი სიყვარულის გამო კაცობრიობის მიმართ“ („ახ. კომ.“); „თანდათან **სიმშვიდე მეუფლებოდა**“ (ა. სულაჯ.); „მე თანდათან **მეუფლებოდა შიში**“ („სოფლ. ცხოვრ.“); „**შავნადვლიანობა ეუფლებოდა** მეფეს“ (კ. გამს.); „ბანგის ძალა ნელდებოდა და **უამურობა ეუფლებოდა** სულსა და სხეულს“ (ლ. გოთ.); „...როცა ვრცელ, შუქმოფენილ დერფენებში ვბედვებით, **სიხალისე გვეუფლება**, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდით“ („კომ.“)... ამ წინადადებებში აღვიღად აღდგება გამოტოვებული წვერის სემანტიკა (**სიამაყე გეუფლება** = სიამაყის გრძნობა გეუფლება; **პატივისცემა და აღტაცება დაეუფლებათ** = პატივისცემისა და აღტაცების გრძნობა დაეუფლებათ; **სიმშვიდე მეუფლებოდა** = სიმშვიდის გრძნობა მეუფლებოდა; **მეუფლებოდა შიში** = მეუფლებოდა შიშის გრძნობა...). ამიტომ ენა მათ სწორ შესიტყვებებად თვლის. არაბუნებრივი და უმართებულოა ის შემთხვევები, როდესაც **ეუფლება** ზმნა იხმარება მისი მნიშვნელობისაგან სრულიად განსხვავებული სემანტიკის მქონე ზმნების ნაცვლად, როგორებიცაა: **აიტანა, ეფინება, იპყრობს, მიიღებს, სწვდება** და მისთ. მაგ.: „მოულოდნელად აქრობენ სინათლეს და მე... **მეუფლება სიცივე** [უნდა იყოს: ამაიტანა სიცივემ]“ („მნათ.“); „მოცეკვავე თევზი ხანდახან გახედავდა მირიანს, რომლის დაფიქრებულ სახეს თანდათან **ღიმილი ეუფლებოდა** [უნდა იყოს: ეფინებოდა]“ (ა. სულაჯ.); „ქალაქის მიდამო-შემოგარენი მთლად გადათეთრდა, ქუჩა-მოედნებს, სახლებისა და ნაგებობათა სახურავებს, ბაღ-პარკებს, ეზოებს, ხე-ბუჩქებს **ზამთრის სილამაზე დაეუფლა** [უმჯობესია: მოეფინა]“ („თბილ.“); „ფრანგი სიმბოლისტური პოეზიის ნიმუშების **თარგმანები** და ქართველი სიმბოლისტების **ლექსები** ერთდროულად **ეუფლება** [უნდა იყოს: იპყრობს] ოციანი წლების ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებას“ (მ. ხუც.); „ღიახ ასეთი **შთაბეჭდილება დაგვიუფლა** [უნდა იყოს: მივიღეთ] ამ ნაწერების კითხვის დროს“ („თბილ.“); „სკოლის ენოში შემომსვლელთა სმენას **ეუფლება** [უნდა იყოს: სწვდება] ბეთპოვენისა და მოცარტის... ნაწარმოებთა **ჰანგები**“ („განთ.“).

ეწევა ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: აწარმოებს, ატარებს, სჩადის... ქართულისათვის ჩვეულებრივია გამოთქმები: ხარჯს ეწევა, ეკონომიას ეწევა, ავტაციას ეწევა და სხვ.: „არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო ეწევა“ („კომ.“); „იგი წორმას აჭარბებს, ამასთანავე... ყველაზე მეტ ეკონომიას ეწევა“ („კომ.“)... ამასთან, ეგვევ ზმნა აღნიშნული მნიშვნელობით, ისევე როგორც ზმირ შემთხვევაში მისი სინონიმური ზმნები: **აწარმოებს, ატარებს, ახორციელებს** და მისთ. (ეს.), ქმნის გარკვეული ტიპის სახელურ-ზმნურ შესიტყვებებს, რომლებიც დანაწევრებულად აღნიშნავენ ერთიან ცნებას და რომელთა შეცვლაც შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში შეიძლება მარტივი ზმნით. მაგალითად: ომს ეწევა—ომობს, ბრძოლას ეწევა—იბრძვის, მუშაობას ეწევა—მუშაობს, ვარჯიშს ეწევა—ვარჯიშობს, გაყიდვას ეწევა—ყიდის, სმას ეწევა—სვამს და ა. შ.

ზშირად ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც სახელურ-ზმნურ შესიტყვებებს ოდენზმნური შესატყვისები მოეპოვება, აღწერით ფორმებს ეძლევა უპირატეაობა გამოყენებისას. ეს, ჩვეულებრივ, ხდება, როდესაც: 1. სახელურ-ზმნურ შესიტყვებებს სათანადო ზმნებთან შედარებით აქვს დაბატებითი, განსხვავებული აზრობრივი ნიუანსი; 2. როდესაც მას ახლავს მსაზღვრელი, რომლის შეცვლაც ზმნისართთ ეერ ზერხდება; 3. როდესაც შესატყვის ზმნას აკლია რომელიმე კატეგორიის ესა თუ ის ფორმა, რომელიც საჭიროა განსაზღვრული კონტექსტისათვის და ა. შ. ამიტომ ბუნებრივია წინადადებები: „კოლონიურ ქვეყნებში... ხალხი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომს ეწევა იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ („კომ.“); „მთელი პროგრესული კაცობრიობა... უფრო და უფრო აქტიურად გაშლილ ბრძოლას ეწევა მსოფლიო რეაქციის ძალების წინააღმდეგ“ („ახ. კომ.“); „შინაგან საქმეთა ორგანოები ეწევიან სისტემატურ პროფლაქტიკურ მუშაობას ავტომანქანების გატაცების აღკვეთისათვის“ („კომ.“) და სხვ.

მაგრამ ზოგჯერ ენაში დასტურდება ეწევა ზმნითა და ამა თუ იმ საწყისით (ან მნიშვნელობით საწყისთან ახლოს მდგომი სახელით) შედგენილი ისეთი სახელურ-ზმნური შესიტყვებები, რომელთაც არავითარი გამართლება არა აქვთ და მათ ნაცვლად ან შესატყვისი, მარტივი ზმნის გამოყენება იქნებოდა უფრო ბუნებრივი, ანდა ზმნა ეწევა უნდა შეცვლილიყო სხვა — კონტექსტისათვის სემანტიკურად უფრო შესაფერისი ზმნით. ამის მიხედვით სტილისტიკურად გასამართავია შემდეგი წინადადებები: „16-17 საათის განმავლობაში ვიწეოდით აუტანელ შრომას და ტანჯვას [უნდა იყოს: აუტანელ, მძიმე პირობებში ვშრომობდით და საშინლად ვიტანჯებოდით]“ („კომ.“); „საჭიროა... ვიწეოდით... მუშაობის მოწინავე მეთოდების ათვისებას [უნდა იყოს:

საქიროა ავითვისოთ მუშაობის მოწინავე მეთოდები“ („კომ.“); „ბევრი მათგანი... არ ეწევა ფიზიკურ ვარჯიშს [უნდა იყოს: ფიზიკურად არ ვარჯიშობს]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „[იგი] თავის მხრივ ეწეოდა მორფის გაყიდვას [უნდა იყოს: ყიდდა მორფს]“ („კომ.“); „[იგი] ეწეოდა სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონლის ყიდვა-გაყიდვას მაღალ სპეკულაციურ ფასებში [უნდა იყოს: იგი სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელს ყიდულობდა და სპეკულაციურ ფასად ყიდდა]“ („ჭიათ. მად.“); „ზოგიერთი ქალები იქამდე მივიდნენ, რომ ყოველდღიურად იკრიბებინ, ეწევიან ღვინის გადაქარბებულ სმას [უნდა იყოს: ზოგიერთი ქალი უზომოდ სვამს ღვინოს]“ („ჭიათ. მად.“); „მეთოდური საბჭო... ამ სამუშაოს საქირო... სიზუსტით ვერ ეწევა [უნდა იყოს: ვერ ასრულებს, როგორც აქიროა]“ („ლიტ. საქ.“).

3

ვერ(ბ) იხ. არ(ა).

ვერნისაჟი. უცხო სიტყვა ვერნისაჟი (ფრანგ. vernissage) აღნიშნავს სამხატვრო გამოფენის დახურულ დათვალიერებას, რომელზედაც მოწვეული არიან სპეციალისტები და საპატიო სტუმრები. ამ სიტყვით აღინიშნება აგრეთვე სამხატვრო გამოფენის გახსნის დღე. ვერნისაჟის სიტყვისიტყვითი და თავდაპირველი მნიშვნელობა არის ნახატის დაფარვა ლაქით (გამოფენის გახსნის წინ). შემდეგ, როგორც ჩანს, ამ სიტყვამ ვაიფართოვა მნიშვნელობა და ასე აღინიშნა გამოფენის გახსნის დღეც; ამ უკანასკნელი მნიშვნელობით არის ეს სახელი შემოსული ქართულშიც: „ვერნისაჟზე მოვიდნენ მხატვრები, მწერლები...“ (ტელეგად.); „ვერნისაჟზე მხატვრის შემოქმედების შესახებ ილაპარაკა მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ...“ („კომ.“); „ვერნისაჟზე შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები“ („ლიტ. საქ.“) და ა. შ.

აღინიშნება ვერნისაჟ- სიტყვის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა, იგი გამოიყენება საერთოდ გამოფენის აღსანიშნავად, გამოფენის სინონიმად. ასეთი მნიშვნელობით სიტყვა ვერნისაჟი ნახმარია შემდეგ შემთხვევებში: „ვერნისაჟზე წარმოდგენილია პლაკატები, ნახატები, ქანდაკებები ქუთაისელი მხატვრებისა“ (ტელეგად.); „გამომცემლობა „მერნის“ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტების... ნამუშევრების გამოფენა... ვფიქრობთ, ასეთი ვერნისაჟები ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს“ („თბილ.“); „დღეს პაატას მიერ აკვარელით, გუაშით, ფანქრით შესრულებული სურათები მოსკოვში, ბაქო-